ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

EU4Environment
Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine

პრესრელიზი

ევროკავშირის სამრეწველო კვირეულის 2022 - EU4Environment მასპინძლობს ეროვნულ კონფერენციას საქართველოში რესურსების ეფექტური და სუფთა წარმოების (რესწ) შესახებ

(ვირტუალურ ფორმატში) თბილისი, 2022 წლის 8 თებერვალი

რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (რესწ) ეროვნული კონფერენცია საქართველოში 2022 წლის 8 თებერვალს ჩატარდა. ვირტუალურ ფორმატში ორგანიზებული, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ღონისძიება მიზნად ისახავდა საქართველოს სამრეწველო საწარმოებში მდგრადი და მწვანე წარმოების განვითარების წახალისებას.

კონფერენცია მიზნად ისახავდა, საქართველოს სამრეწველო საწარმოების მწვანე ტრანზიციის მხარდაჭერას რესწ მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც მცირე და საშუალო საწარმოებს აძლევს შესაძლებლობას, აღმოაჩინონ დამატებითი ინსტრუმენტები და პროგრამები, რომლებიც მათ ეკომეგობრულ ოპერირებას შეუწყობს ხელს. კონფერენციაზე ასევე წარმოაჩინეს იმ კომპანიებისა და ექსპერტების წარმატების ისტორიები, რომლებიც მონაწილეობდნენ UNIDO-ს მიერ EU4Environment პროგრამის ფარგლებში ქვეყანაში განხორციელებულ რესწ სასწავლო პროგრამაში.

მსურს, მადლობა გადავუხადო ევროკავშირს იმ ძალისხმევისთვის, რომელსაც ახორციელებს საქართველოს დასახმარებლად გარდამავალ ეტაპზე G4G (Governing4Growth) კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიმდინარე მოვლენები (როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და კერძო სექტორისთვის) და ჩვენმა კომიტეტმა უკვე შეადგინა ექვსპუნქტიანი გეგმა, რომლის მთავარი საკითხია წრიული ეკონომიკა. ჩვენ ვმუშაობთ ნარჩენების მართვის კანონმდებლობაზე და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების ბიზნესში ინტეგრირებაზე. აქედან გამომდინარე, EU4Environment არის კარგი შესაძლებლობა, გავუზიაროთ გამოცდილება ბიზნესს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს და რა სარგებელი მოაქვს რესურსების ეფექტურად გამოყენებას, - განაცხადა **ქ-ნმა მაია ბითაძემ,** პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მომხსენებლები სხვადასხვა სამუშაო და ჩართულობის სფეროდან (საწარმოების, ბიზნესის, მთავრობის, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, გარემოსდაცვითი საგენტოების წევრები და ენერგეტიკის სფეროს ექსპერტები). ჯამში, 70-ზე მეტი მონაწილე (დამატებითი მსმენელებით, რომლებიც ჩაერთნენ ღონისძიებაში სოციალური მედიის საშუალებით) ჩაერთო ხუთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში, რათა განეხილათ, გაეზიარებინათ გამოცდილება და გაეგოთ მეტი ბიზნესისა და სამრეწველო საწარმოების მწვანე გარდაქმნაზე ქვეყანაში.

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

ჩვენი ხედვაა, გავაუმჯობესოთ ეროვნული ვითარება, რისთვისაც გვჭირდება უკეთესი ეკონომიკური მოდელი, რომელიც შეამცირებს გარემოზე მიყენებულ ზიანს, უკეთგამოავლენს და დანერგავს ინოვაციურ ტექნოლოგიებს. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ეკონომიკის მწვანე განვითარებასთან დაკავშირებული რამდენიმე სტრატეგიული დოკუმენტი, მათ შორის მოიცვა ისეთი მიმართულება, როგორიცაა წრიული ეკონომიკა. ამის გათვალისწინებით, ქართულ საწარმოებს რესწ შესაძლებლობას მისცემს, გაუმჯობესონ სამუშაო გარემო, წარმოების პროცესები და ზოგადი მენტალიტეტი. 2014-2018 წლებში ჩვენ დავნერგეთ UNIDO-ს რესწ სტრუქტურა, შედეგად, ბევრმა საწარმომ გაზარდა თავისი ეკონომიკური სარგებელი და მიაღწია პოზიტიურ შედეგებს (დაზოგა ბუნებრივი რესურსები, შეამცირა ხარჯები, გაუმჯობესა პერსონალის ჯანმრთელობა და სამუშაო პირობები). ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ EU4Environment კიდევ უფრო მეტ საწარმოს მოიცავს და ის კიდევ უფრო შეუწყობს ხელს რესწ-ს. ჩვენ მოუთმენლად ველით თანამშრომლობის გაგრძელებას და კარგად გვესმის, რომ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს წრიული ეკონომიკის მიმართულებით, - განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის პოლიტიკისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, **ქ-ნმა მარგალიტა არაბიძემ.**

ამ ღონისძიებამ, რომელიც ჩატარდა ევროკავშირის მრეწველობის დღეები 2022-ის ფარგლებში, საშუალება მისცა მის ორგანიზატორს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ რეგიონულ პროგრამას EU4Environment მეტი ხილვადობა ჰქონოდა. ევროკავშირის მრეწველობის დღეები არის ევროპის ყოველწლიური ფლაგმანი ღონისძიება, რომელიც წარმოაჩენს სამრეწველო ლიდერებს და მიმდინარე სამრეწველო პოლიტიკის დისკუსიებს ევროპაში და მის მეზობელ ქვეყნებში (როგორც უფრო დიდი ღონისძიების - ევროკავშირის სამრეწველო კვირეულის 2022-ის ნაწილი).

ეს კონფერენცია ორგანიზებულია საქართველოში მიმდინარე შედეგების შესაფასებლად. UNIDO-სთვის რესწ არის ფლაგმანი ინიციატივა წრიული ეკონომიკის რეალობად ქცევის გზაზე, და ხორციელდება დონორის, ევროკავშირის წყალობით. ეს მნიშვნელოვანია რესწ მეთოდოლოგიის ინტეგრირებისთვის და საწარმოებში ეფექტურობისა და ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის ხელშეწყობისთვის. ბოლო წლების გამოწვევების მიუხედავად, საქართველოში ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის კარგი შედეგები გვაქვს. დღევანდელი ღონისძიება ძირითადად ეხება იმ საწარმოებს, რომლებმაც წარმატებით მიაღწიეს მდგრადობას, გაუმჯობესეს წარმოების პროცესები და სამუშაო პირობები, გაზარდეს დასაქმულთა რიცხვი. და, ეს ყველაფერი მოხდა გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანით - თქვა **ქ-ნმა ტატიანა ჩერნიავსკაიამ,** EU4Environment პროექტის მენეჯერმა, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის დირექტორატიდან.

მსგავსი მაგალითები წარმოდგენილი იყო რამდენიმე მცირე და საშუალო საწარმოს მიერ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს UNIDO-ს რესწ სასწავლო პროგრამაში, როგორც სადემონსტრაციო კომპანიებმა. პროგრამაში მონაწილეობდნენ როგორც საკვები პროდუქტების (ცვერცხი, წვენი, ჯემი, ჩირი, ყველი, ღვინო), ასევე სამშენებლო მასალების (ბეტონი, ასფალტი), ბიოსაწვავისა და პლასტმასის მწარმოებელი კომპანიები. დახურვის ცერემონიაზე ამ კომპანიებს, რესწ-ის ექსპერტებთან ერთად, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი მათი შეფასებისთვის, მონიტორინგისა და ხელმძღვანელობისთვის, 13 ექსპერტს და 10 მცირე და საშუალო საწარმოს გადაეცა სერტიფიკატები.

მთავრობის მიერ მხარდაჭერილი საგრანტო და საინვესტიციო

პროგრამების, სოფლის განვითარების საგენტოს, „აწარმოე საქართველოში“-ს, ასევე თი-ბი-სი ბანკის წარმომადგენლები შეუერთდნენ სესიას, რომელიც ეძღვნებოდა ფინანსურ შესაძლებლობებსა და მწვანე მრეწველობის წარმატებებს, და რომელსაც მოდერაციას უწევდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD).

პროგრამის შესახებ

EU4Environment პროგრამა, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, მიზნად ისახავს სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკისა და უკრაინის მხარდაჭერას, რათა შეინარჩუნონ და უკეთ გამოიყენონ თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრე და განვითარების ახალი შესაძლებლობები და გაზარდონ ადამიანების გარემოს დაცვითი კეთილდღეობა. ექვსივე ქვეყნისთვის გათვალისწინებული დაახლოებით20 მილიონი ევროს ოდენობის ბიუჯეტით, პროგრამა EU4Environment ხორციელდება ხუთი საერთაშორისო პარტნიორის მხარდაჭერით: OECD, UNIDO, UNEP, UNECE და მსოფლიო ბანკის ჯგუფი.

დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ ბმულს: www.eu4environment.org

საქართველოში RECP-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს: www.recp.ge

საკონტაქტო ინფორმაცია
ქ-ნი ტატიანა ჩერნიავსკაია
EU4Environment პროექტის მენეჯერი
გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის დირექტორატი
გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO)
ელ.ფოსტა: T.CHERNYAVSKAYA@unido.org